№ 227 7 ნოემბერი, სამშაბათი 1866—1878 7 ნოემბერი, სამშაბათი № 227

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

1 ნოემბრიდამ წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს ორ მანეთად

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты* „Дроэба“.

# საქართველო

## დღიური

*** რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი ტფილისიდამ მიღებული:

„მთელი მხრიდამ მოისმის საჩივარი სპირტის აქციზზედ. ადგილობრივ მეურნეობის მცოდნე პირებმა დაამტკიცეს აქაურს სამეურნეო საზოგადოების სხდომებზე, რომ ეს აქციზი მავნებელია, როგორც საქართველოს მემამულეებისათვის, აგრეთვე თვით ხაზინისათვის. მართლაც, მას აქეთ, რაც აქციზი შემოიღეს ჩვენში, ვენახის პატრონები იძულებულნი შეიქნენ, რომ ყურძნის ჭაჭა გადაჰყარონ, რადგან ვერ უსარგებნიათ არაყის გამოსახდელად, ვერ სარგებლობენ აგრეთვე ვერც ხილით, რომელიც ასე უხვად არის ჩვენს ქვეყანაში; ამასთანავე ნამდვილია, რომ ხაზინასაც ერთი-ორად მოაკლდა სპირტის აქციზის შემოსავალი. მთელი გორის უეზდის სოფლის საზოგადოებანი შუამდგომლობენ ამ ჟამად უმაღლეს მთავრობასთან, რომ, სულ თუ არ მოსპონ, შეამცირონ მაინც ეს აქციზის გადასახადი.“

*** ჩვენს ქალაქში იმყოფება ამ ჟამად გამოჩენილი ვენის პროფესსორი ქალის ექიმი მაიერხოფერი. მთელმა ქალაქმა უკვე შეიტყო იმის აქ ჩამოსვლა, რადგან იმის აქიმობა ბევრს უხდება. ამბობენ, ერთი მინუტი მოსვენება არა აქვს, იმდენი პრაქტიკა გაუჩნდაო.

თუმცა თითო ვიზიტში უფ. მაიერხოფერი, ვინც იმასთან მიდის, ნახევარ თუმანს ახდევინებს და ვისთანაც თვითონ მიდის, თუმან-ნახევარს, მაგრამ, როგორც შევიტყეთ, ბევრ ღარიბსაც მუქთად ექიმობს და საზოგადოთ სრულებით ისეთი ფულის ხარბი არ არის, როგორც ზოგიერთი ჩვენი ექიმები.

*** ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი შემთხვევის აღწერა:

„ოქტომბრის 25-ს, საღამოს რვა საათზე, მე ვნახე საპიორის ქუჩაზე ორი დამთვრალი იმერელი, რომელთაც ერთი ვიღაც პატიოსანი ქალი ჩაეგდოთ ხელში და უწესო ქცევით აწვალებდნენ. ვერ მოვითმინე ამ დედა-კაცის საცოდავი ყვირილი და გამოვესარჩლე; ერთი სხვა კაცით გამოჩნდა; მაგრამ ამას ისეთ ნაირად სცემეს, რომ თავის-თავის დახსნაც გაუჭირდა; მე კი საძაგლად გამლანძღეს.

„ამის გამო იძულებული ვიყავი დამეყვირა, რომ პოლიცია გამოჩენილიყო და ეს ქალი ეპატიებინა. ერთი საათი მეტი ხმა-მაღლა ვიძახე, მაგრამ კაცი არ ამოჩნდა მშველელი და ყურის-მგდებელი. რო არა გამივიდა-რა, მივატოვე ეს საბრალო დედა-კაცი ამ ხალხის ხელში და ჩემს გზაზე წავედი.“

ისიდორე იოსავა

## „დროების“ კორრესპონდენცია

ბათუმი, 24 ოქტომბერს. ვისიც რიგია, იმათ ყურადღების მისაქცევათ, უმორჩილესათ გთხოვთ, უფ. რედაქტორო, შემდეგ გარემოებას ადგილი მისცეთ პატივცემულ თქვენს გაზეთს „დროებაში“.

დღეს, საღამოს ცხრა საათზე, ჩვენი სახლის ეზოში მოვიდა ტირილით ერთი შუა ტანის, შავი სახის ახალგაზრდა ქალი, რომელმაც თავის თავზე შემდეგი გარემოება შემოგვტირა:

# ფელეტონი

## რამდენიმე სურათი

### ხევსურების ცხოვრებიდან

(დასასრული *)

ნოემბრის ოც-და-ხუთია. დღეები უფრო და უფრო მოსაწყენები შეიქმნენ; დრო ძრიელ ნელ-ნელა გადის; ყოველ დღე ერთგვარი ცხოვრება: წინადღითვე იცის კაცმა—თუ როგორ გაატარებს მეორე დღეს. არსად შექცევა, არსად ლხინი.. მეც მომეწყინა აქაურის ბუნების ალტაცებით ყურება, მით უფრო, რომ მან დაჰკარგა თავისი მშვენიერი შეხედულობა და მთლად მოემზადა საძილეთ.

მინდვრებმა დიდი ხანია დაჰკარგეს თავიანთ სიმწვანე; მათზედ მომბერავი ქარი ველარ აღელვებს მდელოს; ის ეხლა აქ დათამაშებს გაყვითლებულ ფოთლებს და ბურბუშელებს, და თავისი განუწყვეტელი გმინვით და სტვენით აღვიძებს გულში დარდებს...

მხოლოთ მელანოს სიცილი, ხუმრობა და ცელქობა ახალისებს გულს.

— მოგეწყინა განა? მაშ ჩვენ როგორ ვძლებთ აქ? მეტყოდა ხოლმე ის.

საღამოს ჟამია; ქარი სასტიკათ აღარ უბერავს; ჰაერში შედარებით მყუდროება სუფევს.

მე და გაბრიელი ტყის პირში დავსეირნობდით. კარგა ხშირი ბინდი იყო, როდესაც ჩვენ შემოვბრუნდით შინისკენ და შემოვყევით ხევის პირს; კიდეც დაბნელდა, მანამ სოფელს მოვატანეთ.

— სუ!.. მითხრა გაბრიელმა და დაიწყო დაკვირვებით ყურება ახლო მდგომარე საბძლისაკენ. მე სული გავკმინდე. იმან გაიარა რამდენიმე ნაბიჯი ფრთხილათ და ამოეფარა ერთ სქელ ხეს. მეც მივყევი იმის მაგალითს.

ნიავი მოჰქროდა ზემოდამ და ცხადად მოჰქონდა ჩვენკენ სიტყვები:

— მამიდურავ! ჰაა მამიდურავ!.. იძახდა ვიღაც ნელის ხ[მ]ით.

— გესმის? ეს უსათუოთ ის ბიჭია, ნათელას რომ ათვალიერებდა. იმ დღესაც მოვკარი ყური რაღაცა ლაპარაკს.

— მამიდურავ! ჰოე მამიდურავ!.. გაისმა კიდევ ნელი ძახილი..

მოისმა ფეხის ხმა, ვიღაც შავათ იძროდა იმ ალაგისაკენ, საიდამაც მოდიოდა პირველი ხმა. ორნივე შეიყარნენ ერთათ და გადმოდგეს რამდენიმე ნაბიჯი უფრო ჩვენკენ. ნელ-ნელა-ლა ვსუნთქავდით (მე ხველება მომდიოდა, მაგრამ აბა რას დავახველებდი!)

— კარზე ხომ არავინ ჩანს? სადა ნათელა? სთქვა პირველმა ხმამ.

— აი ბებერი რასამ კოლტაობდა, მზი ძილანდელი აქით სამრეკლოჩია.

*) „დროება“, № 226.

„— მე, პარტენი, სამეგრელოდან ვარ, სამურზაყანოს მაზრის სოფელ ილორში გაზრდილვარ.

„ჩემი მამა იყო არაბი და დედაჩემი მეგრელის ქალი. მე ობოლი დავრჩი დედ-მამისაგან, და გამზარდა ერთმა ქალმა, სირყვა მარლანიამ.

„როცა გავიზარდე, ბლალოჩინმა მაჭავარიანმა მომნათლა ქრისტიანათ და სახელი მარიამ მქვია; ჩემ გამზდელ მარლანიას ჰყავდა სიძე, თადო ანჩაბაძე.

„ამ ჩხუბიანობის დროს ამ ანჩაბაძემ ძალათ წამომიყვანა ირიზაში; მერმე მომიყვანა ბათუმში და აქ მოახლეთ მიმყიდა ხ. ბ—ოლლის და თითონ ანბაბაძე იზმირში (სმირნა) წავიდა.

„მე წამიყვანეს ამ ბ—ოლლის სახლში და მოახლობას მაქმნევინებდნენ, და ყოველ დღე მეუბნებოდნენ, რომ მოლლას მოგიყვანთ და მუსულმანი—თათარი გახდი და ჩვენებურათ ილოცეო.

„მე რადგანაც ქრისტიანი ვიყავი, რათ მინდოდა, პატენი, თათრობა. ვეუბნებოდი: მე ღორის ხორცი მიჭამია, მე მონათლული ვარ და არ გავხდები თათარი-მეთქი. ისინი ყოველთვის ძალას მატანდნენ.

„ყოველთვის ღმერთს ვეხვეწებოდი, რომ ეს ადგილები რუსებმა აიღონ-თქო. ღორონთმა ჩემი ხვეწნა გაიგონა და აქ რუსები მოიყვანა. თათარი რომ ვერ გამხადეს, მითხრეს: ჩვენ ფარას არ დავკარგავთ, რაც შენთვის მიგვიცია; ჩუმათ წაგიყვანთ ტრაპიზონში და იქ ხომ თათრებია, იმათ მიგყიდით, შენ რუსების ტყვილი იმედი ნუ გაქვს, ბირიგოლ ბატონიც ჩვენი დოსტი არისო.

„ბირგოლ ბატონის ამბავი შეტყობილი რომ მქონდა, და იმათ რომ მითხრეს ჩვენი დოსტი არისო, მართლა მეც შევატყე, რომ საცხა მართალია, გაგზავნას, მიპირებდენ.—მე ვიფიქრე, კიდევ სხვა თათარზე გაყიდვას მიპირებენ-თქო და გავბედე და გამოვიპარე; ვთქვი: თუ მომკლამენ გზაში, მაინც ქრისტიანათ მოვკვდები-თქო..

„აქ, ბათუმში, ეხლა მოველი და მიჩვენეს, რომ ეს სახლი რუსების არის და ქრისტიანები დგანანო. რადგანაც თათრული არ ვიცი, იმას ჩემი ამბავი ვერ გავაგებინე და თქვენი თავი მომასწავლეს.

„ახლა, პარტენი, მადლია ყური მიგდეთ, თათრებს ჩემი თავი არ მისცეთ...“

ამასთანავე ილაპარაკა, რომ, ამ ომიანობის დროს ბევრი ტყვე გამოუყვანიათ და გაუყიდნიათ, და ბევრიც სხვა-და-სხვა ოსმალოს ქალაქებში გასასყიდლათ წაუყვანიათ. ამითი გაათავა თავისი ამბავი, რომ რაც უნდა მისცენ, თანახმა აღარ არის თათრის ქვეყანაში დარჩეს. მე ჩემს ქვეყანაში, ქრისტიანების ადგილს გამაგზავნეთო!

ზემოთ ნალაპარაკევი ყოველივე სიტყვები თითონ ქალისაგან არის ნათქვამი. მხოლოთ რამდენათ ნამდვილია ეს გარემოება, მე ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ....

ბათუმელი

---

# უცხო ქვეყნები

---

## საფრანგეთი

გაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 27 ოქტობერს სტამბოლიდამ მიღებული:

„ამბობენ, საფრანგეთის კამისარმა გამოუცხადა ბოლგარიელების დეპუტაციას, რომ, თუ ბოლგარიელების აჯანყებაში რუსეთი იღებს მონაწილეობას, თუ ეხმარება და ხელს უწყობს იმათ, მაშინ, უეჭველია, ევროპის სახელმწიფოებისაგან კოალიცია შესდგება და ადვილად შესაძლებელიაო, რომ ხელ-მეორედ ისეთი ომი ატყდეს, როგორიც იყო ყირიმის ომიო.“

— ოქტომბრის დამლევს პარიჟში გარდაიცვალა ერთი გამოჩენილი რესპუბლიკელი მწერალი ბარბიე-პაჟესი, რომელმანც დიდი მონაწილეობა მიიღო 1848 წლის რევოლიუციაში. იმის დასაფლავების დროს ჟულ-სიმონსა და არაგოს წარმოუთქვამთ სიტყვა.

## ავსტრია

ბერლინის გაზეთს „პოსტში“ დაბეჭდილია შემდეგი:

„ჯერ ნამდვილი არ არის ის ამბავი, ვითომც ინგლისი და ავსტრო-ვენგრია დათანხმებულიყვნენ, რომ ერთად იმოქმედონ რუსეთის წინააღმდეგ; მაგრამ, უეჭველია, რომ ეს ხმა მალე გამართლდება. ავსტრიას არა ჰსურს, რომ იმის მეზობლად ძლიერი სახელმწიფო (ბოლგარია) დაარსდეს; რუსეთი კი ამას ცდილობს. ამის გამო ავსტრიაც თავის მხრით—ეცდება, რომ საფრანგეთს, ინგლისსა და ოსმალეთსაც დაუახლოვდეს და ამათთან ერთად იმოქმედოს რუსეთის წინააღმდეგ.

„დარწმუნებით ამბობენ აქ, რომ გერმანია წინააღმდეგობას არ გაუწევს ავსტრიას ამ საქმეშიო.“

---

## წერილი რედაქტორთან

---

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში თქვენს პატივცემულ გაზეთში დაბეჭდილი იყო კორრესპონდენცია თელავიდამ.

ჩემი თავის შეურაცხყოფად მიმაჩნია გავაგრძელო სიტყვა ამ კორრესპონდენციაზე, რადგან ის სავსეა სიცრუითა და ცილის-წამებით. მაგრამ, ჭეშმარიტების აღსადგენელად, მე ვთხოვ უფ. თელაველ კორრესპონდენტს შემდეგს სამს საგანზე მომცეს პასუხი:

1) ხსენებული კორრესპონდენტი იწერება, რომ თელავის სალესნიჩოში ტყის მცველები (ობესჩიკები) მეორედ ახდევინებენ ჭიგოს ფულს იმ გლეხებს, რომელთაც ბილეთით გამოუტანიათ ეს ჭი-

---

უთხრა მეორემ. —აოი, განაგრძობდა იგივე, სახილ ბნელ ღამეი ას!

— ახლა რაიღ ექნ, შენიჭირიმ, რაი გითხრ ნათელამ?

— ნათელამ მე არც რა არ მითხრ, არც რა სხვისად უთხრობავს.

—მე ქვე უთხარ, წუხრს მოვალის-თქო. წევდ ნახიდ ნათელა. ძაღლებმ არ გგლიჯონ. მარტოამ არ წაიყვანო. ცხენები კარგი გყონანა?..

— ცხენები კი კაებია, მაგრამ რომ არ წამომყვესა!

— რახლად არ წამოგყვებისჲ! სთქვა და ნელა გაიცინა მამიდურამ.

— რო გითხარ ეგ არ გაუშვებს მეთქი იმ ქალს მოუტაცებელს! მითხრა ამხანაგმა, როდესაც ისინი გაგვცდნენ.

— აი ქალის ნება არ იყოს! უთხარ მე.

— წამო, წავიდეთ, მითხრა იმან; მე ვიცი ქალი რომელ სამრეკლოშიაც არის.

პატარა ხანს უკან ჩვენ ვაი-ვაგლახით მივძვრებოდით შამბებში, ჯოყრებმა ერთიანათ ხელები დამისისხლეს. ბოლოს ერთ რაღაც შემოღობილს მივადექით.

— დაიცა, კაცო, მითხრა ბაბრომ, იქნება ის ბიჭიც აქათ გადმოვიდა, ზედ არ წავაწყდეთ. აგერ სამრეკლოც.

ჩვენ შევდექით. მე მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ იმან პირზე ხელი დამაფარა. ქარი აშრიალებდა შამბებს. კიდევ გადავადგით რამდენიმე ბიჯი, ამოვეკარით ღობეს. ცოტა ხანს უკან მოისმა რაღაც ფაჩი-ფუჩი, გაისმა ჯახუნი ხმელი ფიჩხისა. ჩაჩუმდა ყოველივე, მოისმა ძაღლის ყმუილი.

— საწყალს გზა კარგად არ სცოდნია, ძლივს ეხლა მოატანა. ღამის ძაღლებს არ წააწყდეს, სთქვა ამხანაგმა. ღობის იქით გამოჩნდა რაღაც შავათ, დაუახლოვდა სამრეკლოს კარებს და ჩაჯდა. გავიგონეთ სამრეკლოს კარის რახუნი, რახუნი კიდევ გაისმა, კიდევ... კარმა მცირე ჭრიალი მოიღო.

— ვან ხარჲ რაი ხარ მანდ? გაისმა ნელი ხმა..

— მე ვარ, ბაგაივარ, დაიძახა გარედამ.

— დაგწყიოს იალსარმ, ეშმაი ხარ, რაგი აქ?

— მე ვარ, ბაგაივარ, ბაგაი არ გახსოვსა?...

— აოი! რა გი აქჲ წევდ, მოგკლამენ. სთქვა თრთოლით ქალმა.

— არიქა, მედ აქ ბატარა ხანს....

— არ, შენი ჭირიმ, ვერ მოვალ; ჩაგვხოცენ.

— არ ვინ ას აქ. მამიდურამ არ გითხრა ძოლან?..

ბიჭი შიგ დერეფანში შევიდა. გაისმა კარის ჭრიალი, გამოვიდა ქალი. ორი შავი ჩრდილი შეეწებნენ ერთმანეთს, კოცნის ნელმა ხმამ ძლივს მოაწია ჩვენამდის...

გო ტყიდამ და თელავში ჩამოაქვთ გასაყიდათო. სასურველია შევიტყოთ— როდის და რომელ ტყის-მცველმა ჩაიდინა ამგვარი საქმე.

2) იგივე კორრესპონდენტი ამბობს, რომ ტყის სარგებლობისათვის გლეხები მეორეჯელ იხდიან ფულსაო, თუმცა ბილეთიც ჰქონდესთო; თუ არ მისცეს, ტყის მცველები აეწრიოებენო. ამ უკანონოთ აღებულ ფულებს ტყის-მცველები მეტყევესთან (ლესნიჩთან) იყოფენ სანახევროთაო. გთხოვთ მიჩვენოთ, რომელ ლესნიჩმა და რომელ ტყის-მცველმა ჩაიდინა ეს საძაგელი საქმე?

3) უკვიტანციოთ როგორ ბილეთებს აძლევენ?

თუ ორი კვირის განმავალობაში პასუხი არ მივიღე ამაზე უფ. თელავის კორრესპონდენტისაგან, მე მივმართავ პროკურორს.

რაც შეეხება იმას, რომ თელავის კორრესპონდენტს არ ესმის—თუ რისთვის არ აძლევენ ყმაწვილებს ხილის მოკრების უფლებას, ამაზე მოგახსენებთ შემდეგს: ყველა ყმაწვილებს რომ ტყის გაფუჭების ნება მიეცეს, ხაზინას ისეთივე ზიანი მიეცემა, როგორც ეძლევა საზოგადოებას ცრუ და ცილის-მწამებელ კორრესპონდენტებისაგან.

თელავის ლესნიჩი პავლე სემენენკო

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 4 ნოემბერს. გაზეთი „მორნინგ პოსტ“ ამბობს, რომ ინგლისის განზრახვა ის არის, რომ იმ გვარად გაასწოროს თავის ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის სამზღვრებიო: ქვეტაში და ჯელალაბათში უნდა ჰყვანდეს მუდამ დაყენებული ჯარები; ქაბულში, ქანდაჰარში და გერათში კი უნდა იყვნენ ინგლისის კონსულები.

**ვენა**, 5 ნოემბერს. „პოლიტიკური კორრესპონდენცია“ გვაცნობებს: მაკედონიაში თან-და-თან ვრცელდება და ძლიერდება ხალხის აჯანყება; თესსალიასა და ეპირშიაც აღელდა ხალხი.

**ლონდონი**, 4 ნოემბერს. ვესტმისტერის გერცოგმა და გრაფ გრეიმ წარუდგინეს ლორდ ბიკონსფილდს თხოვნა პარლამენტის მოწვევის თაობაზედ.

**დარმშტატი**, 4 ნოემბერს. დიდი გერცოგი გესენის ტახტის მემკვიდრე და იმის ოთხი ქალი ავათ გახდნენ ყელის ტკივილით; უმცროსი ქალი, მარიამი დღეს მოკვდა.

**კოპენგაგენი**, 4 ნოემბერს. აქ მოვიდა კუმბერლენდის გერცოგი.

# განცხადებანი

## თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

გამგეობა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკისა უმაღლესად დამტკიცებულის წესდების მე-§ 16 საფუძვლის ძალით, აცხადებს, რომ ამა 1878 წლის 9 ქრისტეშობისთვის, შუადღიდგან, ქალაქ თფილისში ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე ნ. ყორღანოვის სახლში № 3, იქნება **საზოგადო გასყიდვა** (ხელ-მეორედ გასყიდვა არ იქნება) იმ ქვემო მოყვანილ პირთ **უძრავ მამულებისა**, რომელთაც არ შემოიტანეს დროზედ ბანკიდამ აღებულის სესხის დანიშნული გადასახადი ფული, როგორც ამ ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მოითხოვენ:

**საგინოვისა**, თ. მიხეილ პაატას ძის, სახნავი მიწა და ტყე სულ 2074 დესიატინა და 420 ოთხ-კუთხე საჟენი, თელავის უეზდის სოფ. ა[illegible], ზემო-ხოდაშენში და ა[illegible]ში.

სრული ვალი აქვს ამ მამულს—13,865 მან. და 90 კაპ.; გადაუხდელი სარგებელი და თავნისა—591 მან. 8 კაპ. სულ 14 456 მან. და 98 კაპ.

**ჩოლაყაშვილისა**, თ. ილია ზაალის ძის, სახნავი, სათიბი, საბალახე და ტყე სულ—3042 დესიატინა. სიღნაღის უეზდის სოფ. ჭიაურში.

სრული ვალი—39,616 მან. 88 კაპ.

**ყორღანაანთ**, ვასილის, ზაქარიასი და მიხეილის ნიკოლოზის ძეთა, ნატალია ნიკოლოზის ასულისა და დარია ივანეს ასულისა, სახნავი, სათიბი, საბალახე და ტყე, სულ 584 დესიატინა და 880 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის უეზდის ჭილიზის აგარაში.

სრული ვალი—3,961 მან. 69 კაპ. გადაუხდელი 538 მან. 60 კაპ. სულ 4,500 მან. 29 კაპ.

**ერისთავების**, თ. რაფიელისა და იოსების დავითის ძეთა, სახნავი, სათიბი და ტყე, სულ—900 დესიატინა, თიონეთის უეზდის სოფ. ბოჭორმაში.

სრული ვალი—5,356 მან. 33 კაპ. გადაუხდელი 268 მან. 4 კაპ., სულ 5,624 მან. და 37 კაპ

**შალიკოვებისა**, თ. კონსტანტინე როსტომის ძისა, თ.თ. ნიკოლოზ, გიორგის და მიხეილის დიმიტრის ძეთა, მართა დიმიტრის ასულისა და სალომე პანტელეიმონის ასულისა,—სახნავი, სათიბი, საბალახე მიწები, ტყე, ბაღი და ვენახი, სულ 1,446 დესიატინა 2294 ოთხ-კუთხი საჟენი, გორის უეზდის სოფ. სკრაში.

ვალი 32,733 მან. 18 კაპ. გადაუხდელი აქვს კიდევ—1,371 მან. 49 კაპ., სრული ვალი—34,104 მან. 67 კაპ.

**ორბელიანისა**, თ. ვახტანგ ვახტანგის ძისა—სახნავი, სათიბი, საბალახე მიწები და ტყე, სულ 1,977 დესიატინა

---

სამრეკლოს კარიდგან, რომელიც ცოტა ღია დარჩა, გამომჭირვალს ცეცხლის მქრქალს სინათლეზე ჩანდა, რომ ქალი უკანვე დადგა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები მოდიოდა ჩვენამდე.

— რახლად ლაპარაკობ? ვინ მოგვკლავს? გაჯავრებით სთქვა ბოლოს ბიჭმა და მალე შემობრუნდა გარე. ქალი მალევე მეეწია... გაისმა კოცნის ხმა..

— არ, შენიჭირიმ, გაიგონებენ, დაიწყებენ დასაცილს. ეუბნებოდა ქალი.

— რას უბნობ, ვინ გაგვიგებს. ეუბნებოდა ბიჭი.

— რომ გიორგი მოგვეწიოსა?

— ვერ მოგვეწევის, მზად იყავ, ანდრიაც ჩემთან არ.

ამ დროს გაისმა ყრუ ბურტყუნი ძაღლისა. ბიჭი გატრიალდა. ქალი მალევე შებრუნდა შინ.

— ოი! ქალ რა არ შეუძლიან: რომ უნდოდეს ეხლავე აკუწინებს მა ბიჭს. ერთი დაძახების მეტი-კი არ უნდა. სთქვა გაბრიელმა.

— მა რა, უპასუხე მე, თუ ქალიც არ დაჰყვა, მაგისთანა საქმე როგორ იქნება! ბედნიერია ვილაც არის, რომ მაგისთანა ქალი მიჰყავს.

— ბედნიერი მაშინ იქნება, თუ ტყვია მიადევნეს უკან. ვაი დედაშენს, რა ქალი მიგყავს!... წამო, კაცო, უთხრათ ვისმეს.

— შენ რა გინდა, კაცო! აბა შენი თავი წარმოიდგინე მაგის ალაგას...

სულ ხუთ მინუტს არ გაუვლია და ბიჭი ისევ მოადგა სამრეკლოს კარებს. გამოვიდა ქალიც. ორთავემ საჩქაროთ ჩაიარეს შამბი. ხმელმა ფიჩხებმა და ჯოყრებმა შექმნეს ლაწი-ლუწი. ძაღლებმა ასტეხეს საშინელი ყეფა; მაგრამ გვიანღა იყო: გაჩნდა იმათგან რამდენიმე ცხენოსანი და თვალის დახამხამებაზე გაიტაცეს ქალი.

— ჰრი მიშველეთ! შექმნა ვილამაც ყვირილი. შეიქმნა ჩოჩქოლი, მიწევნა. მოგვესმა თოფის ხმა... კიდევ . . . . .

—

დეკემბერი. მოსაწყენი ქარი თითქმის განუწყვეტლად ჰბერავს და მოუდის დასავლეთით შავი ღრუბლები, რომელთაც ესე მოუქუშიათ ცა. ღრუბლები წვიმის ბადლად მოგვიძღვნიან აწ თოვლს, ხოლო ქარი, ათამაშებს რა ღრიალით და სტყენით ამ ახალ მოსულ ფიფქს, ჰფენს მას უხვად შენობეების კედლებთან და ღობეებთან..

ხეები მრთლათ გამხმრებს დაემგზავსნენ. ბუნება შთაეფლა ზამთრის ღრმა ძილში. შეიქმნა სასიამოვნო მარად აღგზნებული ბუხარი...

ვ. ბარნოვი

და 1,280 ოთხ-კუთხი საჟ., Თფილისის უეზდის სოფლებში ძველ-Დუშანისს, ჩინ-ჩხურაში, Ციხის-საყდარში, საფარლოში და პართევანის-სოფელში.

Ვალი—13,886 მან. 80 კაპ., გადასახადი—591 მან. 8 კაპ., სრული ვალი 14,477 მან. და 88 კაპ.

**ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ**, თ. Ვახტანგ Ვახტანგის ძისა, სახნავი, საბალახე, სათიბი მიწები და ტყე, სულ 1,434 დესიატ., 1,120 ოთხ-კუთხი საჟენი, Თფილისის უეზდის სოფლებში—მუსიკალოში და შინდლარ-ში.

Ვალი—10,942 მან. 47 კაპ., გადასახადი კიდევ—467 მან. 8 კაპ., სულ 11,416 მან. 34 კაპ.

**ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕᲠᲘᲡᲐ**, თ. Ამირინდო Ამირინდოს ძის, სახნავი და საბალახე მიწები, სულ—145 დესიატინი 1,756 ოთხ-კუთხი საჟენი, Გორის უეზდის სოფ. ნაწრეტს.

Ვალი—2,984 მან. 31 კაპ., გადასახადი—139 მან. 21 კაპ., სულ 3,123 მან. 52 კაპ.

**ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**, თ. Ზაქარია Იესსეს ძის, სახნავი, საბალახე და სათიბი მიწები და ჩიქვნარი, სულ 4,765 დესიატინა, Თფილისის უეზდის სოფელ Ლომბალოსთან.

Ვალი—59,686 მან. 23 კაპ., გადასახადი—3,049 მანეთი., სრული ვალი 62, 735 მან. და 38 კაპ.

**ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ**, ხეჩატურ როსტომის ძისა, ერთ-ეტაჟიანი ქვით-კირის სახლი, მიწით 38 ოთხ-კუთხი საჟ. და 7 ოთხ-კუთხი არშინი, ქ. Თფილისში, მე-II განყოფილების მე-13 უჩასტკაში, Ჰავლაბარში.

Ვალი 377 მან. 4 კაპ., სულ 412 მან. და 18 კაპ.

**ᲢᲔᲠ-ᲛᲘᲙᲘᲠᲢᲘᲩᲘᲐᲜᲪᲘᲡᲐ**, ქრისტეფორე ნიკიტის ძისა, სამ ეტაჟიანი ქვით-კირის სახლი თავის ყველაფრით და მიწით 634½ საჟ., ქ. Თფილისში, მე II განყოფილების მე-12 უჩასტკაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, ჩუღურეთში.

Ვალი აქვს—77,287 მან. 59 კაპ., გადასახადი – 4,347 მან. 5 კაპ., სულ—81,634 მან. და 64 კაპ.

**ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ**, მარიამ Ივანეს ასულის, ა) ერთ-ეტაჟ. ქვით. დუქანი, ბ) ორი სამ-ეტაჟ. ქვით. დუქანი, ორი ორ-ეტაჟ. ქვით. დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი თავის მიწით 276 ოთხ-კუთხი საჟ. და 7 არშინი. ქ. Თფილისში: ა) I განყოფ. მე-7 უჩასტკაში, ბ) მე-II განყოფ. მე-14 უჩასტკაში ჩუღურეთში.

Ვალი—17,126 მან. 77 კაპ., გადასახადი—874 მან., 60 კაპ., სულ 18,001 მან. 37 კაპ.

**ᲗᲔᲗᲠᲐᲫᲘᲡ**, ბლასა ზურაბის ძის, ა) სამ-ეტაჟიანი. ქვითკირის. სახლი სამ ეტაჟიანის ქვითკირის ფლიგელით და სარდაფით, ბ) ორ-ეტაჟ. ქვით. სახლი სამზარეულოთი, მიწით 125 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. Თფილისში— 1 განყოფ. 1 უჩასტკაში, Დავიდოვის ქუჩაზე.

Ვალი—6,337 მან. 19 კაპ., გადასახადი—385 მან. 91 კაპ., სულ—6,723 მ.

**ᲙᲐᲕᲚᲘᲔᲕᲘᲡ**, Იაკობ სვიმონის, ძის ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, და სხვა შენობებით, მიწით—72 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. Თფილისში, 1 განყოფილებაში მე 5 უჩასტკაში, ნემცების ქუჩაზე.

Ვალი—5,761 მან. 6 კაპ., გადასახადი—367 მან. 10 კაპ., სულ 6,128 მან. 19 კაპ.

**ᲐᲛᲐᲢᲣᲜᲘᲡᲐ**, კნეინა Ანნა Ნაზარის ასულისა, ა) ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ერთ-ეტაჟიანი ფლიგელით და სარდაფით და ბ) ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილით 178 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. Თფილისში I განყოფ. მე-4 უჩასტკაში, Ვილიამენოვის ქუჩაზე.

Ვალი—52,748 მან. 19 კაპ., გადასახადი—2,591 მან. 80 კაპ., სულ 55,339 მან 99 კაპ.

**ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡᲐ**, Ისაკ მოსეს ძის, ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყველა კუთვნილებით და ადგილით—490 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. Გორში.

Ვალი—781 მან. 45 კაპ., გადასახადი—65 მან. 98 კაპ. სულ—847 მან. 43 კ.

**ᲛᲔᲮᲢᲘᲔᲕᲘᲡ**, სადიყ-Ასკარ-ოღლის, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღით და ადგილით—547 ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. Თფილისში I განყ. მე 9 უჩასტკაში, ბოტანიკურ ბაღთან.

Ვალი—1,200 მან., გადასახადი 66 მ. 88 კაპ, სულ—1,266 მან. 88 კაპ.

**ᲕᲩᲜᲐᲫᲘᲡ**, თ. Ივანე Ბაადურის ძის, ორი ზვართან ცარიელი მიწით; ერთი ზვრის სივრცე—1,789 ოთხ-კუთხი საჟენი, მეორისა—სიგრძე 124 საჟენი, სიგანე აღმოსავლეთის მხრით 28½ საჟ. და დასავლეთის მხრით 27 საჟ., სიღნაღის უეზდის სოფ. Ბაკურციხეს.

Ვალი—1,200 მან., გადასახადი—47 მან. 80 კაპ. სულ 1,247 მან. 80 კაპ.

**ᲕᲐᲮᲕᲐᲮᲝᲕᲘᲡᲐ**, კნეინა Ეკატერინა Გიორგის ასულის, სახნავ-სათიბი მიწა და ტყე—308 დესიატინა და 555 ოთხ-კუთხი საჟენი Თელავის უეზდის სოფ. Კონდოლში.

Ვალი—2,000 მან. გადასახადი—100 მან. 80 კაპ, სულ 2,100 მან. 80 კაპ.

**ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ**, თ. Გიორგი ნიკოლოზის ძის, ვენახი მიწით 1 დესიატინა 1,200 ოთხ-კუთხი საჟენი, სიღნაღის უეზდის სოფ. Ბაკურციხეს.

Ვალი—500 მან., გადასახადი—37 მან. 20 კაპ., სულ—537 მან. 20 კაპ.

**ᲕᲐᲮᲕᲐᲮᲝᲕᲘᲡ**, თ. Ზაქარია Ივანეს ძის, ვენახი ადგილით—7 დესიატინა და 920 ოთხ-კუთხი საჟენი, Თელავის უეზდის სოფ. Კურდღელაურს.

Ვალი—2,000 მან., გადასახადი—100 მან. 80 კაპ., სულ—2,100 მან. 80 კაპ.

ვაჭრობა (ტორგი), Ბანკის წესდების მე-19 მუხლის ძალით, დაიწყება ზემოთმოყვანილი ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება გადასახადისა და საერთო ხარჯის გადაუხდელი ვალი. Ბანკის თავნვალში შეიძლება შეიტანონ ამავე ბანკის გირაოს ფურცლები (ზაკლადნი ლისტები) მანეთი მანეთისათვის, შეიძლება აგრეთვე, Ბანკის დათანხმებით, ეს ვალი მამულის მსყიდველზე გადავიდეს; ვალის გათასახადი და აგრეთვე სხვა ხარჯი კი ნაღდ ფულათ უნდა იქმნეს Ბანკში შეტანილი.

Თუ პირველი ვაჭრობის დროს (ტორგის დროს ე. ი. ამ 1878 წლის 9 ქრისტეშობისთვის, არ გაიყიდა ზემოხსენებული მამულები, ამ შემთხვევაში, Ბანკის წესდების მე-22 მუხლის ძალით, დანიშნული იქნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 23 ქრისტეშობისთვეს ამავე 1878 წლისათვის. (3—3)

## ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝ-ᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

**ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვაჭრობის უფლებისათვის მომავალი 1879 წლისათვის ქალაქის სასარგებლოდ ფულების შემოტანა შეიძლება ქალაქის Გამგეობაში (Უპრავაში) ამ ნოემბრის პირველიდამ დილის 9½ საათიდგან ვიდრე ნაშუადღევის 1 საათამდინ. ხაზინისათვის ფულის მოგროვება და სავაჭრო დოკუმენტების მიღება შეიძლება Თფილისის გუბერნიის კაზნაჩეისტვოში (ხაზინაში).

(3—2)

### ᲛᲔ ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑ

1, გამგეობას Თფილისში და მისივე უეზდში:

ა, იმ თავადთა, აზნაურთა. მოქალაქეთა და გლეხთა ობლების ქონებათა, რომელნიც არიან ოპეკაში და ოპეკუნის განკარგულებათა ქვეშე;

ბ, იმ მამულთა, რომელნიც ეკუთვნიან რაოდენთამე პირთა მემკვიდრეობით და

გ, იმ მამულთა, რომელნიც ეკუთვნიან კერძოთა პირთა და არ არიან მასში მონაწილენი სხვანი.

2, შედგენასა საპეკუნო ანგარიშებისასა სხვა და სხვა წლებისა წარსადგენლად სადაც ჯერ არს, მოუთხოვნელად შეპირებულის სასყიდლისა ვიდრე დამტკიცებამდე იმ ანგარიშებისა, და

3, ძიებასა მემკვიდრეობაზედ და სხვ.—

მე ვცხოვრებ Თფილისში, სახელოსნო სასამართლოს უკან, თავადი შალიკოვის სახლების რიგზედ, საეკლესიო სახლებში, ნომერი სახლისა № 16 და ვიმყოფები სახლში 7 ვიდრე 9-ს დილისა და სადილის შემდეგ 3 საათიდგან ვიდრე 6 საათამდის.

(2—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 6 Ноября 1878 г. Типографія Меликова. Გამომცემ. ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ, რედაქტორი ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.